სტრატეგიული სამართალწარმოების მიღწევები
(მაისი 2015 – სექტემბერი 2018)

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

USAID/PROLoG-ის ფინანსური მხარდაჭერით ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, უფასო იურიდიული დახმარებისა და სტრატეგიული სამართალწარმოების გზით უზრუნველყოფენ ქალების და უმცირესობების (რელიგიურ, ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობათა) უფლებების დაცვას საქართველოს საერთო სასამართლოებში, საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

USAID/PROLoG-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა:

მაისი 2015 - სექტემბერი 2018			ოქტომბერი 2017 - სექტემბერი 2018		
იურიდიული კონსულტაცია 56,524	წარმომადგენლობა 8,163	ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრა 331	იურიდიული კონსულტაცია 18,667	წარმომადგენლობა 2,797	ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრა 146

2017 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის სექტემბრის პერიოდში, USAID/PROLoG-ის პარტნიორი ორგანიზაციების მიერ წარმატებით დასრულდა 9 სტრატეგიული შინაარსის საქმე, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე. 2015 წლის მაისიდან 2018 წლის სექტემბრის პერიოდში კი წარმატებით დასრულდა 26 სტრატეგიული შინაარსის საქმე, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ადამიანის უფლებათა მდგომარეობა და გაიზარდა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა. ეს საქმეები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

რელიგიურ უმცირესობათა უფლებები

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დისკრიმინაციულად მიიჩნია საგადასახადო კოდექსის ის ნორმა, რომელიც მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ეკლესიების და ტაძრების რესტავრაციის, მშენებლობის და მოხატვის შემთხვევაში დამატებული ღირებულების გადასახადისგან ათავისუფლებს და იგი არაკონსტიტუციურად ცნო.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის ნორმა, რომელიც მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოსთვის უშვებს შესაძლებლობას, უსასყიდლოდ მიიღოს სახელმწიფო ქონება, სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის კი გამორიცხავს იგივე შესაძლებლობას.
- თბილისის საქალაქო სასამართლომ, სააპელაციო სასამართლომ და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ რელიგიური ორგანიზაციებისთვის სამლოცველოს მშენებლობის უფლების შეზღუდვა არაკანონიერად მიიჩნია და განმარტა, რომ რელიგიის სააგენტოს რეკომენდაცია, არ შეიძლება იყოს რელიგიური ნაგებობის მშენებლობაზე ნებართვის გასაცემის წინაპირობა, რადგან კანონში ამგვარი მოთხოვნა არ არსებობს.

ბავშვის უფლებები

- სტამბულის კონვენციის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ძალადობის მოწმე ბავშვი ასევე წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლს და მიანიჭა მსხვერპლის სტატუსი.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა რეკომენდაციით მიმართა პროკურატურას რათა პროკურორს ბავშვის წარმომადგენლისთვის მიეცა სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომის შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოწმეს არ ანიჭებს საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის უფლებას.

თავისუფალი არჩევნების უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მომჩივნის მიმართ თავისუფალი არჩევნების უფლების დარღვევა, რადგან მას არ მიეცა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, გამომდინარე იქიდან რომ იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობა პატიმრებს ართმევდა აქტიური ხმის მიცემის უფლებას, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და სასჯელის ხანგრძლივობის მიუხედავად. ევროპულმა სასამართლომ ეს დარღვევა საკმარისად მიიჩნია იმისთვის, რომ მოეხდინა განმცხადებლისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანის დაკმაყოფილება.

ქალთა უფლებები

უზენაესმა სასამართლომ ფემიციდის საქმეებში, მსხვერპლის სქესის ნიშნით დისკრიმინაციის აღკვეთისა და მოქალაქეთა სიცოცხლის უფლების დასაცავად სამართალდამცავი ორგანოების მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობის გამო, სახელმწიფოს მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების პრაქტიკა დაადგინა.

ღგბტ პირთა უფლებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომელიც სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს სისხლის გადასხმას უკრძალავდა და სახელმწიფოს განუსაზღვრა ვადა ახალი რეგულაციის მისაღებად.

პერსონალური მონაცემები

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა რეგულაცია, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ პერსონალური მონაცემები უვადოდ შენახვის შესაძლებლობას აძლევდა.

წამების აკრძალვა, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

საქართველოს მთავრობამ ევროპული სასამართლოს წინაშე 2011 წლის 3 იანვრის ვეტერანთა აქციის მონაწილეების მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევა აღიარა და დაზარალებულებისთვის კომპენსაციის გადახდას დათანხმდა.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებები

საქართველოს ეროვნული ბანკისა და სახალხო დამცველის აპარატისთვის მიმართვით, საქართველოში მცხოვრები ნიგერიის მოქალაქეებისთვის საქართველოს ბანკში პირადი ანგარიშის გახსნა უკვე შესაძლებელია. ამ და სხვა საბანკო უფლების რეალიზებას ისინი ვერ ახდენდნენ რასობრივი დისკრიმინაციიდან გამომდინარე, რადგან მათ მაღალი რისკის მატარებელ კლიენტებად მიიჩნევდნენ.